

---

ჰაინრიჰ ბოლის ფონდში 2010 წლის  
3 თებერვალს გამართული საჯარო დისკუსია  
თემაზე:

„განათლების სისტემის ახალი  
პრიორიტეტები“

---

ძირითადი მომხსენებლები:

მარინე ჩიტაშვილი – თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი

სიმონ ჯანაშია – ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი

---

მოდერატორი: გიორგი გვახარია

---

**გოგი გვახარია** – ვფიქრობ, გასაგებია, რატომ გაფხვნივთ წელს დისკუსიის სეზონი თემით „განათლების სისტემის ახალი პრიორიტეტები“. მათ ალბათ ბევრი თქვენგანი უკვე იცნობს. დიდი ამ თემის მიმართ საზოგადოების ინტერესი და ალბათ ამითაც არის განპირობებული, რომ დღეს დარბაზი სავსეა. თუმცა, ჩემი აზრით, დისკუსია უფრო საინტერესო იქნებოდა, ჩვენი გეგმა ბოლომდე რომ განხორციელებულიყო. ძალიან გვსურდა განათლების ახალი მინისტრის მოწვევა, მაგრამ სამინისტროში განგვიმარტეს, რომ მინისტრის გრაფიკი ძალიან გადატვირთულია და დისკუსიაში მონაწილეობის შესახებ მისთვის ორი კვირით ადრე უნდა შეგვეტყობინებინა. სამწუხაროდ, ვერც მისი მოადგილის მოწვევა მოხერხდა, თუმცა, ბოლო მომენტამდე გექონდა ამის იმედი. შეიძლება ითქვას, რომ ერთის მხრივ, ეს კარგიც კი არის, იმიტომ რომ როდესაც დისკუსიაში მინისტრი მონაწილეობს, ჩვენი საჯარო დებატები პრესკონფერენციის სახეს იღებს ხოლმე. ასე რომ, დღეს თქვენს შეკითხვებს ქ-ნი მარინე ჩიტაშვილი და ბ-ნი სიმონ ჯანაშია უპასუხებენ. დღევანდელ დისკუსიაში მონაწილეობა უნდა მიეღო ბ-ნი გია მურდულიასაც, თუმცა, ვერც მან მოახერხა ჩვენთან მოსვლა.

ჯერ ბ-ნი სიმონ ჯანაშიას მოვუსმინოთ, როგორც განათლების სისტემის ყოფილ თანამშრომელს. დარწმუნებული ვარ, საინტერესო იქნება მისი მოსაზრებების მოსმენა.

**სიმონ ჯანაშია** – ბოლო ორი თვის განმავლობაში განათლების რეფორმის ჭრილში ბევრი ახალი ინიციატივა გამოჩნდა. შეიძლება მათი ჩამოთვლა, ესენია - სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული ცვლილებები, მათი შეფასების გამკაცრება და ხელმისაწვდომობის საკითხი, ახალი საგნების, კულტუროლოგიისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის შემოღება, სისტემის უფრო მეტად ორიენტირება ინგლისური ენისა და კომპიუტერის უკეთ შესწავლაზე. ერთ-ერთი პრიორიტეტია ასევე სკოლისთვის ბავშვების დაბრუნება. ამისთვის არის ორი შემოთავაზება, გამკაცრდეს დასწრება და შეფასება ბავშვების დასწრებასთან დაკავშირებით და გამოსაშვები გამოცდების შემოღება ერთიანი ეროვნული მისაღები გამოცდების სანაცვლოდ ან პარალელურად. არის კიდევ რამდენიმე დეტალი, შედარებით რთული განსახორციელებელი, სკოლებში ძალადობის შემცირებისთვის ზომების მიღება და ა.შ.

პრიორიტეტებში არ დასახელებულა, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ სკოლებს შეეზღუდათ ურთიერთობის უფლება გარეშე პირებთან, განსაკუთრებით პრესასთან. მინისტრმა განაცხადა, რომ სკოლებმა საკუთარი ინტერვიუები სამინისტროს პრესცენტრს უნდა შეუთანხმონ. ინფორმაციის გაცვლა ასევე შეიზღუდა კვლევით ორგანიზაციებთან მიმართებაშიც. ამ ჩამოთვლილი შემოთავაზებებიდან, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ორი, რომელიც განათლების სფეროში სისტემურ ცვლილებას გამოიწვევს. ახალი საგნების შემოღება იმდენად არ შეცვლის სისტემას, რამდენადაც გამოსაშვები გამოცდების შემოღება და შეზღუდვა პრესასთან დაკავშირებით. ერთი

სისტემური ცვლილებაა, მეორე კი ასახავს ცვლილების დამოკიდებულებას რეფორმის კონტექსტთან.

გამოცდების შემოღება გამოიწვევს სხვა მრავალ ცვლილებას სკოლებში, მათ შორის, სასწავლო პრიორიტეტების შეცვლას, განათლების სისტემისაგან მიღებულ შედეგებს და კიდევ ბევრ გაუთვალისწინებელ ცვლილებას, რომელზეც ჯერ არ ყოფილა საუბარი. მაგალითად, შესაძლოა, გამოიწვიოს პოლიტიკური პრობლემები, საზოგადოების განწყობის შეცვლა უარყოფითი კუთხით და სხვა. ეს არის ყველაზე რთული ცვლილება, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია 2011 წელს. მისი მიზანია, რომ ატესტატის მიღება არ ხდებოდეს თითქმის ავტომატურად, როგორც დღეს ხდება, და რომ მოსწავლეებს დასჭირდეთ მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა. დასახელებული იყო ათი ტესტი, რომელთა საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება, ვის შეეძლება უმაღლესი განათლების მიღება და ვის არა.

ეს არ არის ჩვენი გამოგონილი სისტემა. მსგავსი სისტემები სხვა ქვეყნებშიც არსებობს და იქ შესწავლილია მისი შედეგები. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ გამოცდების სისტემა ვერ უზრუნველყოფს დასახელებული მიზნების მიღწევას, განათლების ხარისხისა და სკოლის პრესტიჟის ამაღლებას თუ არ შეიქმნა პარალელური სისტემები, რომლებიც დაეხმარება ამ სისტემას დადებითი ცვლილებების მოტანაში. ცნობილია, რომ ასეთი სისტემები იწვევს სკოლების დაინტერესებას, რომ რაც შეიძლება ადრე მოიშორონ თავიდან ე.წ. პრობლემური ბავშვები. ამაში არ იგულისხმება მხოლოდ მათი სკოლიდან გაყრა. ზოგ სისტემაში, სადაც ამის გაკეთება გართულებულია, ხშირია ბავშვების მეცხრე კლასში ჩატოვება.

მეორე პრობლემაა საზოგადოების ორიენტირების შეცვლა. შეიცვლება დამოკიდებულება იმის მიმართ, თუ რას ნიშნავს განათლებულ ადამიანად ყოფნა. ეს დღევანდელთან მიმართებაში უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. დღეს არსებული წარმოდგენა, თუ რას ნიშნავს განათლებული ადამიანი, ასახულია სხვადასხვა დოკუმენტებში, მათ შორის ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში, რომელიც აღწერს, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც სკოლას ამთავრებს. ტესტირებას კავშირი არა აქვს იმ კომპეტენციებთან და ღირებულებებებთან, რომელიც ამ დოკუმენტშია აღწერილი. თუმცა, ძალიან რთული იქნება ისეთი კომპეტენციების შეფასება, როგორიც არის სხვისი პატივისცემა, მრავალფეროვნების გათვალისწინება, კომუნიკაციური უნარები და სხვა.

ასეთი სისტემების შემოღების დროს მასწავლებლები ხშირად არიან ორიენტირებულები არა იმ კომპეტენციების სწავლებაზე, რომლებიც ადამიანისთვის მნიშვნელოვანია ცხოვრებაში, არამედ მხოლოდ იმის სწავლებაზე, რაც განაპირობებს მათ წარმატებას სისტემის თვალში. ანუ, თუ მათი მოსწავლეები კარგ შედეგებს იღებენ ტესტებში, ისინი წარმატებულებად ჩაითვლებიან. სამწუხაროდ, ჩვენს სისტემაში შეფასების სხვა კრიტერიუმი ჯერჯერობით არ არსებობს. ჯერ არ დანერგილა აკრედიტაციის სისტემა, რომელიც იტყობდა, კონკრეტული სკოლა რა შედეგებს აღწევს ან რა პროცესს ახორციელებს ამ კონკრეტული შედეგების მისაღწევად. ამიტომ, თუ არ შემოვიდეთ პარალელური სისტემები, ინსპექტირება ან აკრედიტაცია, მხოლოდ გამოცდები გახდება სკოლის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი. ეს იწვევს

იმას, რომ სკოლები დაინტერესებულები ხდებიან, თავიდან მოიშორონ ისეთი ბავშვები, რომლებიც მათ რეიტინგს გააუარესებენ. მეორე, კარგი მხარე ის არის, რომ მშობლებისთვის გაჩნდება ორიენტირები, თუ რომელ სკოლაში სჯობს შვილის მიყვანა იმისთვის, რომ ის წარმატებული იყოს. თუმცა, მოსწავლეების წარმატება სულაც არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ სკოლაში სწავლობს. თუ სოციალურად დაუცველები ერთ სკოლაში მოგროვდებიან, უფრო მაღალი შესაძლებლობის მქონეები მეორე სკოლაში, დიდია შანსი, რომ მხოლოდ იმის გამო, რომ მათ აქვთ კერძოდ მომზადების შესაძლებლობა, შესაძლოა, ამან უფრო მეტად განაპირობოს მათი წარმატება კონკრეტულ ტესტზე, ვიდრე კონკრეტული სკოლის კონკრეტულმა მასწავლებელმა.

რამდენად მნიშვნელოვანია, რომ მშობლებს ჰქონდეთ ასეთი ორიენტირები. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლის არჩევის დროს არსებობდეს ობიექტური მონაცემები, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენს სისტემაში არის 2150 საჯარო სკოლა, რომლის ნახევარზე მეტიც არის ისეთ ადგილას, სადაც სკოლის არჩევანი საერთოდ არ არსებობს. რა შეიძლება მოხდეს ასეთ სკოლებში. ეს საკითხიც შესწავლილია ბევრ ქვეყანაში. თუ მოსწავლეებმა იციან იმის შესახებ, რომ მათი სკოლა წარუმატებელია რაიმე პარამეტრის მიხედვით, მაგალითად, თუ მეცხრე კლასის მოსწავლემ იცის, რომ მათი სკოლა დამთავრებულების მხოლოდ 30%, ან თუნდაც მხოლოდ 80%-ია წარმატებული კონკრეტულ ტესტზე, მათი მოტივაცია იმისთვის, რომ უკეთესად იმეცადინონ, არ იმატებს. იმიტომ რომ მათ წინასწარ იციან, რომ მათი სკოლა წარუმატებელია და მათი მასწავლებლები არ არიან იმ დონის, რომ უზრუნველყონ სხვა სკოლასთან შედარებით კარგი შედეგების მიღწევა.

ეს სისტემა არ ინერგება სტერილურ გარემოში. ერთ-ერთი სისტემა, რომელიც პარალელურად ინერგება, არის მასწავლებლების სერტიფიცირების სისტემა, რომელიც წელს უნდა დაიწყოს და ბავშვებისთვის კიდევ ერთი მონაცემი გახდება ის, თუ რამდენი მასწავლებელი იქნება წარმატებული სასერტიფიკაციო გამოცდაზე. ანუ, ბავშვს ექნება ორი მონაცემი: მათზე უფროსები რამდენად აღწევენ წარმატებას და არიან თუ არა კვალიფიციურები მათი მასწავლებლები. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს ორივე პარამეტრით ნეგატიური ინფორმაცია ექნებათ, დიდია შანსი, რომ ისინი საერთოდ დაანებებენ თავს სწავლას. ასე რომ, ის მიზანი, რომ ხარისხი გაუმჯობესდეს, შესაძლოა, ზოგიერთ სკოლაში სულაც არ იყოს ავტომატურად მიღწეული.

ბევრი მსგავსი პრობლემაა შესწავლილი სხვადასხვა სისტემაში. მაგალითისთვის ავიღოთ ის, თუ რამდენად ასწავლიან მოსწავლეებს იმ უნარებს, და ხდება თუ არა იმ უნარების შეფასება, რაც მნიშვნელოვანია ცხოვრებისთვის. მაგალითად, ტესტი ვერ აფასებს იმ უნარებს, რა უფრო მნიშვნელოვანია ცხოვრებაში. გამოცდა ძვირადღირებული სიამოვნებაა, მისი ადმინისტრირება ძალიან ძვირი ჯდება და კარგი გამოცდა, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეების მნიშვნელოვანი უნარების განვითარებას, ძალიან ძვირი ჩასატარებელია. დაახლოებით ისეთ სიტუაციას ვიღებთ, როგორიც არის ჩვენს სისტემაში მართვის მოწმობის ასაღები გამოცდა, რომელზეც მინიმალური კომპეტენცია უნდა დავადასტუროთ. წარმოიდგინეთ, რომ იგივე გამოცდას აბარებდეთ ტარების კომპონენტის გარეშე და მხოლოდ ქაღალდზე ადასტურებდეთ, რომ ფლობთ შესაბამის კომპეტენციას. ასეთივე სურათს

ვიდებთ, როდესაც ტესტირების საფუძველზე ვმსჯელობთ იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მოსწავლეს ანალიზი, სინთეზი, საკუთარი სოციალური უნარების გამომუშავება და სხვა. შესაბამისად, პრობლემა ის არის, რომ ჩვენ მივიღებთ გაუმჯობესებას ძალიან ცუდ სკოლებში და კვლევებიც ადასტურებს, რომ არსებობს ისეთი სკოლები, სადაც ვერც ერთი მოსწავლე ვერ ახერხებს მინიმალური კომპეტენციის ჩვენებას. ასეთი სკოლებისთვის ნამდვილად გაჩნდება რაღაც ორიენტირი, მაგრამ არა კარგი სკოლებისთვის, მათ შორის, კერძო სკოლებისთვის, სადაც არის განათლების ხარისხი, და ბევრი საჯარო სკოლისთვის, რომელშიც საკმაოდ კარგი შედეგები გვაქვს საერთაშორისო მასშტაბით, მაგალითისთვის, საქართველოს ურბანული სკოლების მაჩვენებელი შედეგები, არის საერთაშორისო საშუალოზე მაღალი.

ეს სისტემა ბევრი სხვა სისტემის მიმართ ყურადღების გამმაფრებას გამოიწვევს. მაგალითად, სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა ადრინდელთან შედარებით, მკვეთრად იზრდება. სამინისტროს მიერ ჩატარებული შარშანდელი კვლევის მიხედვით, მოსწავლეების მხოლოდ 55% ფლობს სახელმძღვანელოების სრულ პაკეტს. ეს მონაცემიც საკმარისია იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, თუ რამდენად არის შესაძლებელი ასეთი სისტემის დანერგვა სხვა სისტემის დანერგვის გარეშე. წელიწადნახევარი, რა დროის განმავლობაშიც იგეგმება ახალი სისტემის დანერგვა, ჩემი აზრით, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ყველა დანარჩენი ის სისტემა, რომელიც გაანეიტრალდება მის მიერ მოტანილ რისკებს, ასევე დაინერგოს. ამ სისტემის დანერგვა გაცილებით რთულია, ვიდრე გამოცდების შემოღება. იმიტომ რომ გამოცდების შემოღების დროს, შეკვეთას იღებს ერთი ცენტრი, ხდება გათვლა, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს ლოჯისტიკურად, რამდენ პუნქტში უნდა ჩაბარდეს გამოცდა, რამდენი კითხვა უნდა იყოს და ა.შ. მაგრამ ეს სისტემა სავარაუდოდ, გარდა სკოლიდან მოსწავლეების გადინებისა, გამოიწვევს იმას, რომ იქნება ძალიან დიდი უკმაყოფილება მასწავლებლების მხრიდან იმ შემთხვევაში, თუ მათი მოსწავლეები ჩაიჭრებიან, ასევე იქნება უკმაყოფილება მშობლების მხრიდან. და დიდია შანსი, რომ მასწავლებლებიც და მშობლებიც დაიწყებენ ყველა იმ კარგის უარყოფას, რაც კი მომხდარა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. მშობლები მათი შვილების წარუმატებლობას დააბრალებენ სასწავლო გეგმას, მასწავლებლებს, სახელმძღვანელოებს, ლოტოტრონს, მინისტრებს და ა.შ. ნაწილობრივ შეიძლება ეს სწორიც იყოს, მაგრამ ჩვენ მივიღებთ შედეგს და დაგუარგავთ იმას, რასაც მივადწიეთ ამ ხუთი წლის განმავლობაში. დადასტურებულია, რომ როდესაც ნიშანს უწერ ადამიანს, ეს უფრო ნაკლებად მოქმედებს დადებითად მის მომავალ შედეგებზე, როდესაც ნიშნებთან ერთად კომენტარებს წერ, უკეთესად მოქმედებს, მხოლოდ კომენტარების წერა კი ყველაზე მაღალ შედეგს იძლევა. ჩვენ შემოვიღეთ კომენტარების სისტემა. მნიშვნელოვანი ხდება ისეთი ნიშნის წერა, რომელიც შემდეგ მეორდება ტესტის შემთხვევაშიც, რათა არ მოხდეს კონფლიქტი მასწავლებელსა და მშობელს შორის, რათა მშობელს არ ჰქონდეს არაადეკვატური მოლოდინი მისი შვილის წარმატების შესახებ.

**გიორგი გვახარია** – ალბათ ბევრი კითხვა გექნებათ, მაგრამ ჯერ ქ-ნ მარინეს მოვუსმინოთ და შემდეგ დავსვათ შეკითხვები. ქ-ნი მარინე ალბათ

უმაღლესი განათლების პრიორიტეტებზეც ისაუბრებს. განსაკუთრებით საინტერესოა გარდამავალი ეტაპი საშუალო განათლებიდან უმაღლეს განათლებაზე. გუშინ პრეზიდენტმა მეთექვსმეტე მთავარს მიმართა, რომ არ შეეშინდეთ, რადგან დასაწყისში ყველაფერი ძალიან ადვილი იქნება. როგორც ჩანს, გარკვეული წინააღმდეგობა უკვე არის და მან უკვე შეარბილა თავისი პოზიცია. გისმენთ, ქ-ნო მარინე.

**მარინე ჩიტაშვილი** – დიდი მადლობა ჰაინრიხ ბოლის ფონდს საჯარო დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად მოწვევისათვის. მადლობას მოვასხენებ აუდიტორიასაც, რომელმაც თავისი აქ მოსვლით დაადასტურა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა ეკონომიკური პროდუქტის ვარდნისა, საქართველოში განათლება ჯერ კიდევ რჩება პრიორიტეტად. ანალოგიური ტიპის შემთხვევებში სხვა ქვეყნებში საერთოდ დაიკარგა განათლების მიმართ ინტერესი. ანუ, რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, იქ უფრო ნაკლებია განათლების მიმართ ინტერესი. სამწუხაროდ, ჩვენ ნელ-ნელა გადავდივართ ისეთი ტიპის ქვეყნებში, რომლებიც ეკონომიკური მაჩვენებლით ძალიან ჩამორჩებიან, მაგრამ მიხარია, რომ რჩება ტრადიცია, რომლის მიხედვითაც განვითარების უმაღლესი გზა არის განათლებისადმი ინტერესი.

დღეს მე ვფიქრობდი, რომ დისკუსიის მსვლელობისას ჩვენ ვისაუბრებდით როგორც სასკოლო, ისე უმაღლეს განათლებაზე. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ კონტექსტს, რომლითაც დაიწყო დისკუსია, ალბათ ძირითადად სასკოლო განათლებაზე იქნება საუბარი. მაგრამ ამ თვალსაზრისით არ ვარ კომპეტენტური, მხოლოდ ის შემიძლია მოგახსენოთ, როგორც უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალი, რას ვხედავ სტუდენტებთან მიმართებაში.

როგორც ჩანს, საინფორმაციო რევოლუციამ განაპირობა ის, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით აკადემიური პერსონალი წუწუნებს იმაზე, რომ მათი სტუდენტები არ არიან ისე მომზადებულები, როგორც იყვნენ ათი-ოცი წლის წინ. ვგულისხმობ დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ნიდერლანდების მონაცემებს. ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი კოლეგისაგან ოქსფორდის უნივერსიტეტიდან მსმენია, რომ ჩვენ როგორც ვწერდით დისერტაციებს, ახლა ასე წერა გამორიცხვულია, იმიტომ რომ მაშინ გეჭონდა თემა და სამი წელი გვეძლეოდა იმისათვის, რომ თავისუფალი ცნობიერების ნაკადით გვებოდილა სამი წლის განმავლობაში. ახლა ჩვენს სტუდენტებს აბსოლუტურად განსაზღვრული აქვთ კურსები და მათი სწავლების სისტემა ბევრად უფრო სტრუქტურირებულია. ეს მაგალითი იმიტომ მოვიტანე, რომ საერთო ჩივილი აკადემიური პერსონალის მხრიდან, რომ სტუდენტები ფლობენ ბევრად ნაკლები ცოდნის მარაგს, ვიდრე აქამდე იყო, ყველას გულისტკივილია. თუმცა, ეს კარგია თუ ცუდი, ამაზე არაფერს ამბობენ. ტექნიკური პროგრესი არ ჩერდება და უფრო მეტიც, გლობალიზაციის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად განიხილება მეცნიერებაში გლობალური და ტრანსნაციონალური პროექტების არსებობა და ა.შ. ანუ, იმაზე, განათლება, ინფორმაციის ფლობა და ბევრი რამის ცოდნა ერთმნიშვნელოვნად კარგია ან აფერხებს თუ არა პროგრესს, პასუხი არ არის. მაგრამ ის, რომ განათლების გარკვეული დონე უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელია, ცხადია.

2005 წელს ჩატარდა პირველი ეროვნული გამოცდები. 2007 წელს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შეკრებაზე, როდესაც საუბარი იყო იმაზე, როგორ უნდა მომზადებულიყო პირველკურსელთა შესავალი კურსები, წამოდგა ქიმიის ფაკულტეტის პროფესორი და თქვა, რომ მათ უწევთ სწავლება არა იმ პროგრამით რაც იყო ხუთიოდე წლის წინ, არამედ სტუდენტებისათვის იმის თქმა, რომ არსებობს მენდელეევის ტაბულა. ანუ, საუბარი იმის შესახებ, რომ ელემენტარული ცოდნა, რაზეც უნდა დაშენდეს უმაღლესი განათლება, არ მოდის სკოლიდან, ფაქტია. შესაბამისად, ნებისმიერი მცდელობა იმისა, რომ ის სკოლიდან მოდიოდეს, აყენებს შემდეგ საკითხს. აქამდე განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა რატომღაც ცალ-ცალკე განიხილავდა სკოლას და უმაღლეს სასწავლებელს და ბმა ამ ორ ინსტანციას შორის შინაარსობრივი თვალსაზრისით არ ყოფილა განხილული. ის, რომ უმაღლესი განათლებისათვის აუცილებელია გარკვეული ტიპის ცოდნის არსებობა, თუ გნებავთ ამაზე გაუმართოთ მსჯელობა, მაგრამ ფაქტია, რომ მიუხედავად იმისა, რომ თოთხმეტი წლის ასაკისათვის ინტელექტის კოეფიციენტი ანუ ფსიქიკური ფუნქცია ნორმალურად მუშაობს და ანალიზიც, სინთეზიც, აბსტრაქციაც, აბსოლუტურად ხელმისაწვდომი ოპერაციებია, მიუხედავად ამისა, 14 წლის ასაკში რომ მომცეთ ცოტათი სერიოზული ნაშრომი, მისი გაგება გამიჭირდება, თუნდაც იმიტომ, რომ გადავაწყდები ბევრ ახალ ტერმინს, რომლის შესახებაც ინფორმაცია არა მაქვს. იმიტომ ამ ტექსტის ასათვისებლად, მისი სტრუქტურის გასაგებად დაეხარჯავ დიდ დროს, შრომას და შესაძლოა, ვერც მოვერიო.

შემოთავაზება იმისა, რომ გავაუმჯობესოთ სკოლაში სწავლების ხარისხი, ნამდვილად ძალიან მისასალმებელია, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ სწავლების ხარისხის გაუმჯობესება გამოცდების სისტემის შემოღებით და ათი გამოცდით ჰგავს ფასადურ გაფორმებას. ის ღონისძიებები, რომლებიც ჩამოთვალა ბატონმა სიკომ, ფასადური ხასიათისაა, იმიტომ რომ თუკი გადავხედავთ ქვეყნებს, რომლებმაც სერიოზულ წინსვლას მიაღწიეს განათლების რეფორმაში, ვნახავთ, რომ მათ ორი პრინციპული ტიპის არჩევანი გააკეთეს. უპირველეს ყოვლისა, დაიწყეს იმ მასწავლებლების მომზადება, რომლებიც მათ სჭირდებოდათ სკოლებში და ასწავლიდნენ იმას, რაც მომავალ თაობებს სჭირდება. კარგად მახსოვს, ექიმთა სერტიფიკაციის წინ როგორ მზადდებოდა ლიცენზირების პროცესი, როგორ მზადდებოდა ტესტები. საჯაროდ გამოქვეყნდა 5000 კითხვა. მანქანის მართვის მოწმობა ვისაც ადრე გაქვთ აღებული, გეხსომებათ, რომ 300-მდე პასუხი იყო დასახეპირებელი. სკოლის მეათე კლასში ვაბარებდი ამ გამოცდას. ორი ინსპექტორი გვესწრებოდა. ბილეთის ერთ-ერთ საკითხში ვერ გავარკვიე, საით უნდა წავსულიყავი და დავიწყე ადგილზე წრიალი. ინსპექტორმა დიდხანს უყურა ამ საკითხს, ბოლოს მითხრა, რომ თუ ცხრაზე სწორი პასუხი მქონდა გაცემული, მაინც გასული ვიყავი და მირჩია, ნებისმიერი პასუხი შემომეხაზა. ადამიანმა პატიოსნად თქვა, რომ არც მან იცოდა სწორი პასუხი. თუკი მაშინ სამასი საკითხი მქონდა დასახეპირებელი, ექიმებს დასახეპირებელი ჰქონდათ 5000-მდე კითხვა თავისი ოთხი არჩევანით. საქართველოში 1997 წელს იყო 42 ათასი დიპლომირებული ექიმი. მართალია, მათგან ყველა არ ყოფილა დასაქმებული, მაგრამ ლიცენზირების კვალობაზე მათი რაოდენობა შემცირდა სულ 3%-ით. ეს ადასტურებს იმას, რომ ნებისმიერი რაოდენობის ტესტის დახეპირება შესაძლებელია. სწორედ ამიტომაც, რომ ჩვენ

კვალიფიციური ექიმები არ გვყავს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ საქართველოში სიკვდილიანობა ძალიან მაღალია.

მასწავლებლის კომენტარზე არ არის დამოკიდებული მოსწავლის აკადემიური წარმატება. რამედ დამოკიდებულია იმაზე, რა იცის ამ მასწავლებელმა, როგორ და რა უნდა ასწავლოს და როგორ უნდა დაგეგმოს სწავლების პროცესი. შესაბამისად, მასწავლებლების სერტიფიკაცია, რომელიც ახლა უნდა განხორციელდეს, ძალიან ვეჭვობ, რომ აკმაყოფილებდეს ამ პირობებს. თუმცა, ვადასტურებ იმას, რომ მთელი რიგი შარშან გამოსული სახელმძღვანელოებისა, ფაქტობრივად არის პირველი შემთხვევა, როდესაც სისტემატიზებული სახით, შესავლის დონეზე მასწავლებლებს აცნობს იმას, როგორ ვითარდება ბავშვი, როგორ უნდა იქცეოდეს ის, მისი ქცევის ახსნის რა მოდელები არსებობს და ა.შ. წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი სკოლაში. ისეთი სხარტი გონება, როგორიც სკოლის ასაკში მქონდა, ახლა აღარ მაქვს, იმიტომ რომ შემდეგ ბევრი კლიშე შემოდის და სააზროვნო სოციალური სქემები გროვდება. ახლა რომ ვუყურებ ზოგიერთ ჩემს მასწავლებელს, ნამდვილად ვფიქრობ, რომ ისინი გმირობის ღირსნი არიან იმის გამო, რომ გვიმკლავდებოდნენ. პირველ კლასში ჩემთან იყო 45 ბავშვი. მასწავლებელი რას გვასწავლიდა, ეს სხვა თემაა, მაგრამ ფაქტია, რომ გვივლიდა. და არც ფიზიკური ძალადობა ყოფილა ჩვენზე განხორციელებული. შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად კარგი მასწავლებელი მყავდა, იმიტომ რომ შემდეგ უკვე დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში, ცდების ჩასატარებლად აღმოვჩნდი პიონერთა ბანაკში, სადაც აღმზრდელები ისე ურტყამდნენ ბავშვებს, რომ ძალიან სერიოზული ჩარევა მომიხდა. მე მართლა გამიღიმა ბედმა, რომ დავიბადე და გავიზარდე თბილისში, ვცოვრობდი ისეთ რაიონში, სადაც ხუთი სპეციალიზებული სკოლიდან ერთ-ერთი იყო განთავსებული და ბებიჩემმა ამ სკოლაში შემიყვანა, იქ კი კარგი მასწავლებლები აღმოჩნდნენ. ამიტომ მთელ სასკოლო კურიკულუმს თუ გადავხედავთ, პრეტენზია მხოლოდ ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლებზე შემიძლია განვაცხადო, რომლებიც არ იყვნენ კარგი სპეციალისტები და ასევე არ შეეძლოთ ბავშვებთან ურთიერთობა.

თუკი ჩავატარებთ მასწავლებლების შემოწმებას, რა უნდა იცოდნენ მათ ბავშვების შესახებ, აღმოჩნდება, რომ ეს არის პირველი შემთხვევა სისტემატიზებული ცოდნის მიწოდებისა, როდესაც შესავლის დონეზე მიეწოდებათ მასწავლებლებს გარკვეული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ საგანმანათლებლო პროცესი როგორ წარმართონ. მთელი ეს ისტორია მოვეყვი მხოლოდ ერთი რამის გამო. ქვეყნებს, რომლებსაც ჰქონდათ სურვილი განათლება გაეუმჯობესებინათ, მათი ძირითადი პრიორიტეტი იყო მასწავლებელთა მომზადება. და მიაღწიეს ისეთ შედეგს, როგორიც არის დღეს ფინეთში, სკანდინავიის სხვა ქვეყნებში და ა.შ. სასწავლო პროცესის განხორციელების ძირითადი ფაქტორი არის მასწავლებელი. მასწავლებელზეა დამოკიდებული ის, თუ საბოლოოდ რა პროდუქტს მივიღებთ. ყველაფერი სხვა, იქნება ეს ტესტი თუ გამოცდა, არის შემმოწმებელი იმ შედეგის, რისი გაკეთებაც მასწავლებელს შეუძლია. მე მომხრე ვიქნებოდი, თუ ის თანხა, რაც უნდა დაიხარჯოს მინიმალური კომპეტენციის შესაქმნელი ტესტების გასაკეთებლად, მასწავლებელთა მომზადებას მოხმარდეს. ასევე სერიოზულად შეგვეხედა იმისთვის, რაც წერია უმაღლესი განათლების კანონში იმის შესახებ,



რომ მასწავლებლად მუშაობის უფლება აქვთ მხოლოდ მაგისტრის ხარისხის მქონე ადამიანს. ასეთ შემთხვევაში, იქნებ დაგვედგინა, რას ვითხოვთ მაგისტრის ხარისხის მქონე პედაგოგისგან. ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის ანალოგიური სისტემაც გადმოვიდეთ, იმის მოთხოვნა, რომ სკოლაში იყოს მაგისტრი, არ არის აუცილებელი. შესაძლებელია იყოს ბაკალავრიც, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს მიღებული სპეციალური განათლება იმისათვის, რომ ასწავლიდეს. როდესაც გადმოგვაქვს ისეთი ქვეყნების სისტემები, როგორც არის ნორვეგია, შვედეთი, სადაც მასწავლებელს აქვს მაგისტრის ხარისხი, გავითვალისწინოთ ისიც, თუ რამდენია ამ ქვეყნის მიერ ჩადებული თავის განათლების სისტემაში. ამიტომ, მიმაჩნია, რომ არ არის მიზანშეწონილი, საბანი იმაზე მეტად გავჭიმოთ, ვიდრე გვაქვს ამის შესაძლებლობა, და სჯობს იქიდან დავიწყოთ აწყობა, რისი გაკეთებაც შეგვიძლია.

რაც შეეხება შემოტანილ ინოვაციებს, არ მესმის რას ნიშნავს კულტუროლოგია და სახმედრო-პატრიოტული აღზრდა. თუ ლაპარაკია იმაზე, რომ მივდევთ პრინციპს, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია, ასეთ შემთხვევაში ბევრად უკეთესი იქნებოდა გვეზრუნა იმაზე, რომ ჩვენი მომავალი თაობა სერიოზულად ყოფილიყო დაკავებული ფიზიკური უნარების განვითარებით. ამისთვის საჭირო იქნებოდა სკოლებთან სპორტული მოედნების აშენება. უკეთესი იქნებოდა ბავშვებს სპორტისთვის მეტი დრო ჰქონდეთ დათმობილი, ვიდრე ტვინი გამოვუჭედოთ იდეოლოგიური კლიშეებით და ადამიანებს არ მივცეთ იმის საშუალება, რომ ისინი იყვნენ იმ გლობალური სივრცის ნაწილი, რასაც ჰქვია მსოფლიო ადამიანის უფლებების დაცვის მომხრე. არა მგონია, რომ ადამიანს, რომელიც არის ჰუმანისტი, არ უყვარდეს სამშობლო, და არ შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა, თუ მაინცადამაინაც სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ბანაკი არ გაიარა.

მოწოდებას, სკოლას დაეუბრუნოთ ბავშვები, მივყავართ ისევ იგივე პრობლემამდე. სკოლებში ბავშვების დასაბრუნებლად ახლა ჩართულია მშობლების არმია, რომლებსაც ემუქრებიან, რომ თუ მათი შვილები არ ივლიან სკოლაში, სამსახურიდან გაათავისუფლებენ. ჩვენთან, სკოლაში, ძალოვანმა სტრუქტურებმა უნდა ჩაატარონ ტრენინგები. უცხოეთის არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს, რომ სკოლაში ძალადობის შემცირების ძირითადი ფაქტორი გარედან მოსული პირი ყოფილიყო, და ეს არ იყოს სკოლის მასწავლებლების ძირითადი საქმე. იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლაში იმატა ძალადობამ, მოვიყვან ერთ-ერთი კვლევის შედეგებს, რომელიც იწყება 1990-იან წლებში, ეს მოდის კლინიკური ფსიქოლოგიიდან და დაიწყო კვლევა იმის გამო, რომ არსებობს ე.წ. დიდი დეპრესიის ერთჯერადი ეპიზოდი, რომელიც ყველა ჩვენთაგანს მეტნაკლები ინტენსივობით გაუვლია გარდამავალ ასაკში, როდესაც არაფერი არ გინდა, არაფერი არ მოგწონს და ა.შ. როდესაც დაიწყო ეს კვლევა, აღმოჩნდა, რომ დეპრესიის მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია არასრულწლოვან დამნაშავეებში, ვიდრე ჩვეულებრივ ბავშვებში და დაიწყო ამისი მიზეზების კვლევა. აღმოჩნდა, რომ უმეტეს შემთხვევაში, მათ ვისაც აქვთ კრიმინალური ან რაიმე ტიპის მარგინალური ქცევის დარღვევა, სერიოზული პრობლემები აქვთ განათლების თვალსაზრისით. მათმა უმეტესობამ არ იცის კარგად წერა-კითხვა, არ შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა, ვერ ახერხებს კონტაქტს და კომუნიკაციას და ა.შ. 90-იანი წლებიდან კანადაში და შემდეგ ამერიკის

შეერთებულ შტატებში იწყება ე.წ. სპეციალური პროგრამები, რომლებიც მიმართულია განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და სასწავლო პროცესების დაწესებულებებში.

და ბოლოს, როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აღფრთოვანებული ვიყავი 2005 წელს პირველი მისაღები გამოცდებით. ასეთი მოტივირებული, აზრიანი, მოწესრიგებული, სწავლაზე ორიენტირებული კონტიგენტი უნივერსიტეტში 1993 წლის შემდეგ არ მინახავს. ამ თვალსაზრისით 2005 წელი ჩემთვის რადიკალურად გარდამტეხი წელიწადი იყო. შემდეგ სტუდენტების ხარისხმა რატომღაც კლება დაიწყო. ისინი ძალიან ხშირად ვერ იგებენ იმ შესავალ ტექსტებს, რომელიც არის უმაღლეს სასწავლებელში და რომლის უფრო მეტად გამარტივება შეუძლებელია. ამან გამოიწვია ჩემი დაინტერესება იმით, თუ რას აწავლიან მე-10-11-12 კლასებში. მე-11-12 კლასებში, როგორც კვლევამ აჩვენა, არაფერს არ სწავლობენ და მოსწავლეები ორიენტირებულები არიან მხოლოდ იმ საგნების ჩაბარებაზე, რომელსაც ითხოვს მისაღები გამოცდები. არა მგონია, რომ რაიმე ტიპის შეცდომის აღიარება ცუდი იყოს და თუ რაიმე არასწორად გაკეთდა, არ უნდა გამოსწორდეს, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ განათლების რეფორმის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ მან მოახდინა სტანდარტიზებული სისტემის შემოღება ყველასათვის, რომელსაც გადალახვის შემთხვევაში შეუძლია მიიღოს უმაღლესი განათლება. ეს უდიდესი მიღწევა იყო და ამის უკან წაღება არაფრით არ შეიძლება. თუკი ვისაუბრებთ იმაზე, რომ სხვა რაღაცები არის არასწორი, ოფიციალურად ვაცხადებ, არანაირი ბმა ე.წ. საშუალო სკოლასა და უმაღლეს განათლებას შორის არ არსებობს. ამიტომ ის ბავშვი, მე-9 კლასიდან გაირიცხება თუ დაამთავრებს მე-12 კლასს, ის უმაღლესი განათლების მიღებისთვის მოდის აბსოლუტურად მოუმზადებელი. მე არ ვამბობ, რომ უმაღლესი განათლება მხოლოდ ელიტისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, არავითარ შემთხვევაში. უფრო მეტიც, ჩვენ ავიღეთ ორიენტაცია ანგლოსაქსურ განათლების მოდელზე, მე ვიტყვოდი, უფრო ამერიკულ მოდელზე. ამერიკული განათლების სისტემა ევროპულისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ის მუშაობს საზოგადოებისათვის და მას სჭირდება განათლებული საზოგადოება, და არა ელიტა, რომელიც საზოგადოების ნაცვლად წყვეტს რაღაცებს. გმადლობთ ყურადღებისთვის.

**გიორგი გვახარია** – მეც დავსვამ კითხვებს, რომლებზე პასუხიც ძალიან მაინტერესებს.

ჯერ ერთი, რამ გამოიწვია განათლების ამ ახალი პრიორიტეტების შექმნა, რა ხდებოდა ქვეყანაში ისეთი, რამაც დაბადა ეს ახალი იდეა. პირადად მე მახსოვს ახალი მინისტრის დანიშვნამდე საპატრიარქოს მიერ გაკეთებული განცხადება. ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება იყო. პატრიარქი გამოვიდა წინადადებით, რომ სკოლებში უნდა დაიწყო ტრადიციების სწავლება. დაახლოებით რამდენიმე დღეში პრესაში გამოჩნდა განათლების სისტემის ახალი პრიორიტეტები, სადაც გაიელვა სწორედ სიტყვებმა „პატრიოტული აღზრდა“. ანუ, ეს, ჩემი აზრით, არის გარკვეული ვარიაცია და ინტერპრეტაცია და იმ ყველაფერს, რაზეც ისაუბრეს ჩვენმა მომხსენებლებმა, აქვს პოლიტიკური ფონი. ეს იმაშიც გამოიხატება, რომ მასწავლებელი, მოგესხენებათ, არის სერიოზული ელექტორატი, არჩვენები

ახლოვდება, ხელისუფლებას სჭირდება ხმები და მასწავლებლები შესანიშნავი საშუალებაა ხმების მოსაგროვებლად. სამწუხაროდ, ამას ეწირება განათლების სისტემის ის რეფორმა, რომლის შესახებაც ასე კარგად ისაუბრა მარინემაც.

აქ საუბარი იყო მასწავლებლების სერტიფიკაციაზეც. საინტერესოა, ვინ ადგენს ამ სერტიფიკატებს, რა შეკითხვებს დაუსვამენ მასწავლებლებს, რა აინტერესებთ, მასწავლებლის პროფესიული განათლება, როგორი პედაგოგია, როგორი ფსიქოლოგია, და ვინ განიხილავს მერე ამას. ამ შეკითხვით მივმართავ სიკო ჯანაშიას.

მარინესთანაც მაქვს შეკითხვა. მარინემ თქვა, რომ მასწავლებლები უნდა მომზადდნენ და ამაში მეც ვეთანხმები. მაგრამ ვინ მოამზადებს მათ, ვინ გააკონტროლებს, ვინ ჩაუტარებს მათ გამოცდებს. უცხოეთიდან უნდა ჩამოვიყვანოთ ასეთი სპეციალისტები, თუ გვყავს ადგილობრივი კადრები, რომლებიც მასწავლებლების მასწავლებლები იქნებიან?

**სიმონ ჯანაშია** – ჯერ ბოლო შეკითხვაზე გიპასუხებთ, მე ვამზადებ მასწავლებლებს. მთავარი იყო კითხვა, რისთვის და როგორ ვამზადებთ მასწავლებლებს. ერთ საკითხს დავაზუსტებ, ჩვენთან არ არის მაინცდამაინც იმის მოთხოვნა, რომ მასწავლებელი იყოს მაგისტრი. ჩვენთან იმისთვის, რომ იყო დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი, უნდა იყო ბაკალავრი. იმისთვის, რომ იყო მე-7-დან მე-12 კლასის ჩათვლით მასწავლებელი, არის ორი გზა – თუ შენი „მეიჯორი“ არის მათემატიკა, „მაინორის“ 60 კრედიტი შეგიძლია გამოიყენო იმისთვის, რომ ისწავლო პედაგოგიკა და შემდეგ გაქვს უფლება, გახვიდე სასერტიფიკაციო გამოცდაზე. ანუ, თუ არ გაქვს გავლილი ბაკალავრიატის პერიოდში, შეგიძლია 60 კრედიტი აიღო ბაკალავრიატის შემდეგ, ან თუ ეს 60 კრედიტი არ არის შენთვის საკმარისი, და ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ შენ შესაბამისი განათლება არ გაქვს, მაგალითად, თუ განათლებით იურისტი ხარ და გინდა გახდე მათემატიკის მასწავლებელი, მაშინ მაგისტრატურა უნდა გაიარო, სადაც 60 კრედიტს ისწავლი პედაგოგიკაში და ამდენივეს მათემატიკაში. მაგრამ არც ეს იძლევა იმის გარანტიას, რომ აუცილებლად მასწავლებელი გახდები, იმიტომ რომ შემდეგ გამოცდა უნდა ჩააბარო. ეს გამოცდა ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებს და გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე გამოცდა. იმიტომ რომ გამოცდით ვერ შეამოწმებ ყველა იმ უნარს, რაც მასწავლებელს მოეთხოვება. ეს არის ზოგადპროფესიული უნარები, ანუ, ის, თუ რამდენად იცის მასწავლებელმა განვითარების ფსიქოლოგია, სწავლის თეორიები, რამდენად შეუძლია მეთოდის გამოყენება, რამდენად იცნობს შეფასების სისტემებს და რამდენად იყენებს მათ, ასევე საგნობრივი ნაწილი, რომელიც გულისხმობს იმას, თუ რამდენად იცის ადამიანმა კონკრეტული საგანი, მაგალითად, რამდენად იცის მათემატიკის მასწავლებელმა მათემატიკა და მისი სწავლება. არის კიდევ ცალკე ნაწილი მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, რომელიც აღწერს იმას, თუ კიდევ რა მოეთხოვება მასწავლებელს. ამაში შედის კომუნიკაციის უნარი, კონფლიქტების მოგვარება, მშობლებთან ურთიერთობის ფორმები და სხვა. ეს სტანდარტი არის ორიენტირი მასწავლებლისთვის, იმისთვის, რათა მან თავისი შესაძლებლობები მუდმივად დახვეწოს. ამის მხოლოდ მცირე ნაწილის გამოცდაა შესაძლებელი, რადგან ტესტი არ შეიძლება გრძელდებოდეს ერთი კვირა.

საერთოდ, ქალაქით ყველა ამ უნარის შემოწმება შეუძლებელია. დაგეგმილია ორი გამოცდა. ერთით მოწმდება ზოგადპროფესიული უნარები, მეორე ნაწილი ამოწმებს საგნის და საგნის სწავლების მეთოდის ცოდნას.

**გიორგი გვახარია** – 50-55 წლის მასწავლებელი, რომელმაც ყველაფერი კარგად იცის კომპიუტერის გარდა, ჩაიჭრება ამ გამოცდაში?

**სიმონ ჯანაშია** – რაღაც პერიოდში იყო საუბარი იმაზე, რომ ტესტირება კომპიუტერის გამოყენებით ჩატარებულიყო, რათა ამ გზით ისიც შეემოწმებინათ, რამდენად შეუძლია მასწავლებელს კომპიუტერის გამოყენება, თუმცა ეს ყველაზე ნაკლები პრობლემაა, იმიტომ რომ ყველაზე ადვილად ითვისებენ მას. საერთოდ, სერტიფიცირების სისტემა, ჩემი აზრით, სწორად მოფიქრებული სისტემაა, იმიტომ რომ ითვალისწინებს ძალიან მნიშვნელოვან კომპონენტებს, რაც განათლების სისტემაში ცვლილებებისთვის არის მნიშვნელოვანი. საკმარისი არ არის, ორიენტირი ავიღოთ მასწავლებლების მომზადებაზე. დადებით ეფექტს იძლევა სისტემა, რომელსაც აქვს როგორც ზეწოლის, ისე დახმარების მექანიზმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ გამოცდების სისტემაში და ეს არის პრობლემატური. ზეწოლის მექანიზმია ის, რომ მასწავლებელს ეუბნები, რა სტანდარტი უნდა დააკმაყოფილოს, მაგრამ ამავე დროს ეხმარები მას ამ სტანდარტის დაძლევაში. ამ სისტემის მთელი არსიც ის არის, რომ მიზანს ის კი არ წარმოადგენს, გამოცდა ჩაუტარო და ჩაჭრა, არამედ, აიძულო, რომ დაიწყოს თვითგანვითარება, და მეორე მხრივ, დააინტერესო, რომ ეს დახმარება მიიღოს. როცა არ არსებობს გამოცდა, მას არ აინტერესებს ტრენინგზე სიარული. ტრენინგის ხელმისაწვდომობა დღეს იმით არის უზრუნველყოფილი, რომ მასწავლებლები იღებენ ვაუჩერებს, რომლითაც აფინანსებენ ტრენინგების გარკვეულ რაოდენობას.

**მარინე ჩიტაშვილი** – ეუბრუნდები იმას, რომ პირადად მე, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ მაგისტრატურა დამთავრებული მასწავლებელი ასწავლიდეს სკოლაში. უბრალოდ, ვამბობ, რომ ამ ეტაპზე ამ იდეის განხორციელება პრინციპულად შეუძლებელია. ბატონო სიკო, როგორც ჩემთვის ცნობილია, ილიას უნივერსიტეტში არსებობს მაგისტრატურა მასწავლებლებისათვის, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო დარგში. ბოლო სამი წლის განმავლობაში რამდენი მაგისტრი გყავდათ?

**სიმონ ჯანაშია** – არც ერთი არ გვყოლია.

**მარინე ჩიტაშვილი** – ეს არის კატასტროფა. იმიტომ რომ თუ გავითვალისწინებთ ჩვენი მასწავლებლების ასაკობრივ ჭრილს, რომელიც არის 60 წელი, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საშუალო ასაკი ქალებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად კონტინენტს, საქართველოში არის 76 წელი, პერსპექტივაში რომ გავიხედოთ და ვნახოთ, რომ ყველა მასწავლებელმა მიაღწია ამ ასაკს, აღმოჩნდება, რომ თექვსმეტი წლის შემდეგ საერთოდ არ გვეყოლება საბუნებისმეტყველო მეცნიერების მასწავლებელი. მგონია, რომ მასწავლებელთა მომზადება უნდა იყოს ცალკე პრიორიტეტის საგანი.

მასწავლებლობა არის მოწოდება და მოტივაცია იმით, რომ ვაუჩერის არქონის შემთხვევაში მას გაუშვებენ სამსახურიდან, მასწავლებელთა დატოვების ერთადერთი გზა არ უნდა იყოს.

მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენ არ გვყავს კარგი მასწავლებლები და ასეთები მარტო უცხოეთში არიან, უბრალოდ, მგონია, რომ არსებული კონტიგენტიდან დაახლოებით 30% არის არა გაწვრთნადი. ეს მარტო მასწავლებლებს არ ეხება, ნებისმიერ პროფესიაში ასეა. შესაბამისად, ასეთებზე არ უნდა წავიდეს თანხები, და მეორე – მასწავლებელთა მომზადება, ისე, როგორც არის ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიაში, საფრანგეთში, ალბათ კარგი იქნებოდა ჩვენშიც არსებობდეს „თიერს კოლეჯის“ სახით. აქ მომზადდებოდა მასწავლებელი და ეს არ იქნებოდა უშუალოდ მიბმული ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაზე. რადგან სახელმწიფოს ცოტა ფული აქვს, მისი დამამთავრებელი გამოცდა ფაქტობრივად უნდა ყოფილიყო სასერტიფიკაციო გამოცდა. იმაშიც გეთანხმებით, რომ მასწავლებელს უნდა შეეძლოს კლასში ურთიერთობა, კრიტიკული სიტუაციის მოგვარება, ამას ტესტები არ ამოწმებს. ამას სჭირდება ხელმძღვანელი, რომელიც აკვირდება.

რაც შეეხება უშუალოდ ჩემთვის დასმულ კითხვას იმის შესახებ, ვინ მოამზადებს მასწავლებლებს. მგონია, რომ დროა დავემშვიდობოთ იდეას იმის შესახებ, რომ საქართველოში ვართ განსაკუთრებული არსებები, რომლებიც ვეკუთვნივთ ადამიანთა სახეობას, და სპეციალურად მორგებული პროგრამები გვჭირდება. არსებობს მასწავლებელთა მომზადების აპრობირებული კურიკულუმი და უფრო მეტიც, რადგან ის არის რეგულირებადი პროფესია ჩვენთანაც და სხვა ქვეყნებშიც, ადებულია მასწავლებელთა მომზადების ეს პროგრამა. ავიღოთ იმ ქვეყნების პროგრამები, სადაც მოსწავლეები აჩვენებენ ყველაზე კარგ შედეგებს, დავდოთ ასეთი სამი პროგრამა, შევადაროთ, ვთარგმნოთ ქართულად და ვიწყოთ მისი სწავლება. მე ფსიქოლოგის თვალთა წავიკითხე მასწავლებელთა მომზადების სახელმძღვანელოები, რომლებიც, ვადასტურებ, რომ კარგია. მაგრამ არ შეიძლება ამ სახელმძღვანელოში ერთდროულად ასწავლიდე შვიდ სხვადასხვა მიმართულებას, რომლებსაც კარგად ვერ იგებენ ვერც ფსიქოლოგები. მასწავლებელს არ სჭირდება ეს შვიდი სხვადასხვა მიმართულება. მას სჭირდება მხოლოდ კოგნიტური და ქცევითი პროცესების შესახებ ცოდნა და შესაბამისად, ეს უნდა ასწავლო. ამიტომ მასწავლებლები უნდა მომზადდნენ იმ ქვეყნების კვალობაზე, რომლებსაც აქვთ მასწავლებელთა მომზადების საუკეთესო კურიკულუმი და ამას აჩვენებს მათი შედეგები საერთაშორისო კვლევებში.

**გიორგი გვახარია** – იმ 30%-ს რა უნდა ვუყოთ?

**მარინე ჩიატაშვილი** – უნდა მივცეთ დამსახურებული პენსია, რომ სახლში იყვნენ.

**ლაშა ბერაია, გამომცემლობა „ლოგოს პრესის“ დამფუძნებელი** – ჩემი შეკითხვა სახელმძღვანელოებს უკავშირდება. ბოლო განცხადებები, რომლებიც ეხება გრიფორების წესის გამკაცრებას, სტანდარტიზაციის შემოღებას წიგნებში, ხომ არ არის დაბრუნება იმ დროში, როცა იყო ერთი გამომცემელი, და თითო

საგანში გამოიციმოდა თითო სახელმძღვანელო. ხომ არ ვბრუნდებით უკან, პოსტსაბჭოთა ხანაში ან როგორც არის ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, თურქეთში. როდესაც ამ თემაზე ველაპარაკე თურქეთის გამომცემელთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს, მან მიპასუხა, რომ მათ კონსერვატიული მთავრობა ჰყავთ და გამომცემლები უკმაყოფილოები არიან.

განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ დღევანდელი სისტემა ულტრალიბერალურია. ბოლო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში სამინისტროში მოსულმა ხალხმა დაამკვიდრა ლიბერალური წესები, თავისუფალი ბაზრის წესები სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში. ყოველივე ამან გამოიწვია ძველი გამომცემლობების ნაწილის ჩამოშორება ამ პროცესისგან, ვინაიდან მათი კომპეტენცია არ შეესაბამებოდა თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. გამოიწვია ახალი გამომცემლობების გამოსვლა ასპარეზზე. ასევე გამოიწვია ახალი ავტორების გამოჩენა, თუ მანამ სისტემა გულისხმობდა კონკურსების ჩატარებას, ავტორები, რომლებიც მიდიოდნენ და ევაჭრობდნენ გამომცემლებს ჰონორარის თაობაზე, რომ მათთან დაბეჭდილიყო მათი წიგნები. სისტემის რადიკალურად შეცვლის შემდეგ ტენდერები უკვე გამომცემლობებისთვის ცხადდებოდა, რომლებსაც პასუხისმგებლობა უნდა აეღოთ თავიანთი წიგნების ხარისხზე. ამის შედეგად შევქმელი ჩამომყვალბებიანა ჯგუფი ისტორია-გეოგრაფიის ახალი სახელმძღვანელოების ავტორებისა, რომლებიც მანამდე არ იყვნენ დაკავშირებულნი ამ პროცესთან და ჩვენმა გუნდმა შექმნა ახალი წიგნები. მაგრამ ახლა ვგრძნობ ამ სისტემის დანგრევის საშიშროებას. ვფიქრობ, შესაძლოა, ისევ დაეუბრუნდეთ სისტემას, როდესაც მოლაპარაკებები დაიწყება ავტორებთან. ამისი ნიშნები უკვე გამოჩნდა. მინისტრმა ბრძანა, რომ დაუძახებენ ავტორებს, დასვამენ მათ ერთად და ისინი შეთანხმდებიან იმაზე, როგორ გადანაწილდეს კლასების მიხედვით მისაწოდებელი მასალა სხვადასხვა საგანში. შემოდის ისეთი კომპონენტიც, როგორც არის სავალდებულო შინაარსის 60%. ამიტომ, თუ მანამდე გამომცემლობები ავტორებთან ერთად თავად წყვეტდნენ როგორი კონცეფციით უნდა ყოფილიყო მათი წიგნი დაბეჭდილი, ახლა ისევ სტანდარტიზაციისკენ მივიღვართ. როდესაც ამ თემაზე გამოკითხვა ტარდება, როგორც ეს დავით პაიჭაძის გადაცემაში იყო, სადაც მაყურებელთა 90%-მა თქვა, რომ მათ არ მოსწონთ სახელმძღვანელოების მრავალფეროვნება. მე მესმის, რომ მშობლისთვის ბევრი სახელმძღვანელო ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, მაგრამ მეორე მხრივ, არის ფართო არჩევანი, და მასწავლებლის პასუხისმგებლობის ზრდის საკითხი. რა ჯობია, პედაგოგს გაუშუქდეს პასუხისმგებლობის გრძობა და ვასწავლოთ არჩევანის გაკეთება, თუ გამზადებული ერთი წიგნი მივაწოდოთ? თუ მივდივართ საბაზრო ეკონომიკის და ლიბერალიზმის გზით, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა თვითონ უნდა შეძლოს არჩევანის გაკეთება.

**ნინო გიორგაძე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი –** დღეს გრიფირებასთან დაკავშირებით მივიღეთ შემდეგი. მაშინ როცა ყოველ მეორე წელს იგრიფება იგივე სახელმძღვანელოები და გამოდის ახალი დიზაინით, მაგრამ ძველი შინაარსით, შედეგად მივიღეთ ის, რომ განათლების სამინისტროს საწყობში არის უკვე ძალიან ბევრი გრიფაცილილი წიგნი. როდესაც ერთ-ერთი

არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით მივაკითხეთ განათლების სამინისტროს ერთ-ერთ დეპარტამენტს და ვთხოვეთ დევნილი ბავშვებისთვის ეს წიგნები, როგორც მხატვრული ლიტერატურა და არა როგორც სახელმძღვანელოები, შემოგვთავაზეს, ძალიან ბევრი წამოგველო, რადგან ფიზიკურად იყო ამის საშუალება. ასეთ პრობლემას ვაწყდებით. გასაგებია, რომ საგამომცემლო კომპანიებისთვის ეს ბიზნესია, მაგრამ ასევე მაინტერესებს, რას ეფუძნება ის კვლევა, რომლის მიხედვითაც მხოლოდ 54%-თვის არის ხელმისაწვდომი სახელმძღვანელოები, იმიტომ რომ ჩემს გარემოცვაში სახელმძღვანელოები ძალიან ხელმიუწვდომელია.

**სიმონ ჯანაშია** – განათლების სამინისტრო არ ყიდულობს წიგნებს. ესეც არის ერთ-ერთი პრობლემა, რაც სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობას ხელს უშლის. სამინისტრო ადრე ყიდულობდა წიგნებს სხვადასხვა კლასებისთვის. 2003 წლამდე, თუ სახელმძღვანელო იღებდა გრიფს, სოროსის ფონდის დახმარებით სახელმწიფო ერთი წლით ბეჭდავდა წიგნს გარკვეული ტირაჟით, რათა მომხდარიყო მისი აპრობაცია და შემდეგ შესულიყო ის სკოლაში. 2004 წლიდან სახელმწიფო ყიდულობს მხოლოდ პირველი კლასის წიგნებს.

მერვე კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო არის 2004 წლამდე გრიფით მიღებული, ეს წიგნები არ იცვლებოდა ყოველ წელს. იცვლებოდა სამ წელიწადში ერთხელ შარშანდლამდე, ახლა უკვე შემოვიდა ახალი წესი, რომლის მიხედვითაც კონკრეტულ კლასში სახელმძღვანელო ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა შეიცვალოს. ასე რომ, განათლების სამინისტროს საწყობში წიგნების სიმრავლე მათ ყოველწლიურ ცვლასთან არ ყოფილა დაკავშირებული.

თუ ზუსტად არ იქნა განსაზღვრული სწავლების შინაარსი, შეუძლებელი გახდება ისე შეფასება, რომ ადამიანს არ დასჭირდეს რეპეტიტორთან სიარული. მაგალითისთვის რომ ავიღოთ ქართული ენა და ლიტერატურა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში არის კომპეტენციების ჩამონათვალი, თუ რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს თითოეული კლასის ბოლოს, და რა მასალის გავლით შეიძლება ამის მიღწევა. თუმცა იქ არ არის მითითებული კონკრეტული ნაწარმოებები, მხოლოდ ავტორები წერია. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოების ავტორებს საკმაოდ დიდი თავისუფლება ჰქონდათ საიმისოდ, რომ მიზნიდან გამომდინარე, თვითონ შეერჩიათ ნაწარმოებები. ჩვენთვის მთავარი იყო, რა შედეგს მიაღწევდა მოსწავლე და არა პროცესის გაკონტროლება. იმიტომ რომ ერთ-ერთი მთავარი, რაც თანამედროვე განათლების ნებისმიერ კონცეფციაში არის მოცემული და დადასტურებულია ნებისმიერი თანამედროვე კვლევით, არის მოსწავლის კონკრეტული ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. თუ არ ითვალისწინებ მოსწავლის წარმოშობას, მის საჭიროებებს და ინტერესებს, მაშინ სწავლების სტანდარტიზაცია ცუდია. როდესაც მისაღები გამოცდების სტანდარტიზაციაზე ვსაუბრობთ, ის კარგი იმიტომ არის, რომ კორუფცია შეამცირა და ნებისმიერ მოსწავლეს მისცა იმის შესაძლებლობა, ჩააბაროს უმაღლესში მისი სოციალური კავშირის და სხვა მსგავსი ფაქტორების გაუთვალისწინებლად. მაგრამ სტანდარტიზაცია იწვევს იმას, რომ არ ხდება კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინება. ეს საჭიროებები ძალიან განსხვავებულია. სახელმძღვანელოებს რომ დაუბრუნდეთ, იმას, რომ

სახელმძღვანელოების სრულ პაკეტს ქვეყნის მასშტაბით 55% ფლობს, ბავშვების პასუხია. მშობლების თქმით, სახელმძღვანელოების სრულ პაკეტს 68% ფლობს. შეკითხვაზე, რატომ არ აქვთ სრული პაკეტი, საინტერესო პასუხები მივიღეთ. 70%-ზე მეტი რეგიონებში ამას სიძვირის გამო ვერ ახერხებს. იგივე პასუხი დედაქალაქში მხოლოდ 35%-მა გაგვცა. სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობას თუ უფრო მეტ მნიშვნელობას მივანიჭებთ, და ეს ბუნებრივი იქნება იმის გათვალისწინებით, რომ გამოცდა ყველა საგანში იქნება ჩასაბარებელი, კიდევ უფრო გაიზრდება შესაძლებლობებს შორის უფსკრული დედაქალაქსა და რეგიონებში მცხოვრებ მოსწავლეებს შორის. ერთიანი ეროვნული გამოცდების დადებითი შედეგების მიუხედავად, საქართველოში სკოლას ყოველწლიურად 60 ათასამდე მოსწავლე ამთავრებს და მათგან მხოლოდ დაახლოებით 27 ათასი ცდილობს უმაღლესში ჩაბარებას. ამის მიზეზი სავარაუდოდ არის ის, რომ უმაღლესში ჩაბარება ძალიან ძვირი ჯდება. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდაზე გასასვლელად მხოლოდ ათი ლარია საჭირო, სინამდვილეში ეს გამოცდები, მათთვის, ვინც ამ გამოცდებზე გადის, უფრო ძვირი ჯდება. იმისთვის რომ გამოცდაზე გახვიდე, უნდა მოემზადო, ეს კი ყველას არ შეუძლია.

სახელმძღვანელოების სტანდარტიზაცია არის პრობლემა, მაგრამ გაცილებით დიდი პრობლემაა, როცა სახელმწიფო იღებს ისეთ ფუნქციებს თავის თავზე, რაც მისი უშუალო ფუნქცია არ არის. სახელმწიფო ახლა ცდილობს თავის თავზე აიღოს გამომცემლის ფუნქცია, თუმცა ის გამომცემელზე უკეთესად ამ ფუნქციას ვერ შეასრულებს. რაც უფრო მეტი იქნება ჩარევა, მით უფრო მეტი იქნება კორუფციის საფრთხე, და მით უფრო ნაკლები იქნება ამ სისტემაში ჩართული სხვა სუბიექტების პასუხისმგებლობა. ჩვენ ხუთი წლის განმავლობაში ვაშენებდით სისტემას, სადაც პასუხისმგებლობა გადანაწილებული იქნებოდა.

საიდან მოდის ეს ინიციატივები. ჩემი აზრით, პრობლემა ის არის, რომ წლების განმავლობაში ვაშენებდით სისტემას, სადაც პასუხისმგებლობები გადაბარებული იყო მათზე, ვისაც ნამდვილად უნდა ჰქონოდა ეს პასუხისმგებლობა, აქ იგულისხმება მშობელიც, ბავშვიც, მასწავლებელიც, დირექტორიც და სხვა. მაგრამ მათ არ უნდათ ამ პასუხისმგებლობის აღება. საკმარისია, მშობელმა ვერ მიიღოს სკოლიდან ის სერვისი, რასაც მოელის, სკოლას კი არ სთხოვს მის გაუმჯობესებას, არამედ პრეზიდენტს. პრეზიდენტი, თავისთავად, ცდილობს მიიღოს რაც შეიძლება მეტი ხმა. ეს შესწავლილია ყველა ქვეყანაში, სადაც მსგავსი რაღაცები ხდება. ეს არის პოლიტიკოსების მოუთმენლობა, რომ გრძელვადიანი რეფორმები დანერგონ. იმიტომ რომ გრძელვადიანი რეფორმას მეორე მხარისგან ძალიან დიდი მოთმინება სჭირდება. დღევანდელი პრიორიტეტი არ გულისხმობს მოთმენას. არადა, ამ ყველაფრის უკან 600 ათასი ოჯახი დგას. თამამი ცვლილებაა. ჩვენს საზოგადოებაში არ მოსწონთ სახელმძღვანელოების მრავლფეროვნება, მაგრამ მოსწონთ ბევრი გამოცდა, იმიტომ რომ ფიქრობენ, რომ ბევრი გამოცდა ბევრ ცოდნას ნიშნავს.

გადავხედოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას. ვნახავთ, რომ ზოგ ქვეყანაში არის გამოცდები, ზოგში საერთოდ არ ტარდება, მაგრამ მაინც კარგი განათლების ხარისხია. ჩვენთან 2005 წელს რომ ძალიან მოტივირებული იყო ხალხი და შემდეგ შემცირდა ეს მოტივაცია, ამის მიზეზები შესწავლილია და ჟარგონზე უწოდებენ „ტესტის ნახევრად დაშლის პერიოდს“ და გრძელდება



მაქსიმუმ ოთხი წელი. ამ პერიოდში შეიძლება ტესტის აუდიტორიამ აღმოაჩინოს ის ხერხები, თუ როგორ შეიძლება ტესტი წარმატებულად ჩააბარო ცოდნის გარეშე. პირველმა გამოცდებმა ენთუზიაზმის ფონზე ჩაიარა, დაბალი კლასის მოსწავლეებიც კი ამბობდნენ, რომ თუ კარგად არ ისწავლიდნენ, შემდეგ უმაღლესში ვერ ჩააბარებდნენ. მაგრამ მერე უცებ გაირკვა, რომ ყველა აბარებს უმაღლესში, მიუხედავად მათი ცოდნისა, იმიტომ რომ 27 ათას ადგილზე ამდენივე აბიტურიენტი აბარებს. თან გამოცდის ფორმაა ისეთი, რომ არ იჭრები, თუ პრესტიჟულ ფაკულტეტზე არ მოხვდები, ნაკლებად პრესტიჟულზე ჩაირიცხები. ასე რომ, ტესტი დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ყველგან იწვევს ენთუზიაზმს, ერთი წლის შემდეგ ენთუზიაზმი კლებულობს. გამოსაშვები ტიპის ტესტი კიდევ უარესია. იმიტომ რომ ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია წინა წლის ტესტების გამოყენება და მოსწავლეების ვარჯიში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადასალახად.

**გიორგი გვახარია** – გამოდის, რომ ხუთ წელიწადში საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდა. მან ვერ აიღო პასუხისმგებლობა და უკან დაებრუნდით.

**დავით არაბიძე, განათლების ეროვნული კავშირი** – 1991 წლის მდგომარეობით, საქართველოში იყო 6500 სკოლა, როგორც ბატონმა სიკომ აღნიშნა, დღეს არის 2150. ეს უკვე რაღაცის მაჩვენებელია.

სოციალური კონტროლის გარეშე ნებისმიერი მექანიზმი არაეფექტურია და ვერ მოგვცემს მთავარ პროდუქტს, რაც სკოლამ უნდა მოგვცეს. ბევრი პრობლემაა, მათგან მხოლოდ ერთს გამოვყოფ. ეს არის საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოები. როგორც პირველი, ისე მეორე არჩევნების დროს დავინახეთ ის, რაც იყო საბჭოთა პერიოდში – საბჭოთა კოლმეურნეობის გამგეობის ფორმირება. მოხდა ფარული ნომენკლატურული შერჩევა და ფარული აღმინისტრაციული დანიშვნა. საზოგადოება და მით უფრო, სამოქალაქო სექტორი, იზოლირებული აღმოჩნდა ამ უმნიშვნელოვანესი პროცესებისგან. მაინტერესებს საზოგადოების ის ჯგუფი, რომელსაც წარმოადგენენ ქალბატონი მარინე ან ბატონი სიკო, თუ აპირებენ რაიმე ნაბიჯების გადადგმას იმისთვის, რომ სამეურვეო საბჭოებმა რეალურად განახორციელონ თვითმმართველობა და სოციალური კონტროლის ფუნქცია.

**მარინე ჩიტაშვილი** – სამეურვეო საბჭოების შესახებ ზუსტ ინფორმაციას არ ვფლობ. მოგახსენეთ, რომ სკოლების შესახებ მხოლოდ წაკითხულით და მოსმენილით ვიცი. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ სამეურვეო საბჭოების ამგვარი ტიპით შექმნა სხვა არაფერია, თუ არა კონტროლის მექანიზმის შეტანა. თუმცა სამეურვეო საბჭო ამას არ გულისხმობს. პირიქით, მისი იდეა გულისხმობს იმას, რომ სკოლა იყოს ერთ-ერთი ადგილი, სადაც სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის შეიქმნება მყარი საფუძველი. მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის მყარი საფუძველის შექმნა, მისი მანიპულირება, რომ ავარჩიოთ მშობლები და ჩავრთოთ ამ პროცესში, შეიძლება გადაიქცეს ირიბი ავტოკრატიული მეთოდის განხორციელებად და კონტროლის მექანიზმის შემოღებად. ეს ხდება ახლაც, სკოლაში აუცილებელი დასწრების

შემოღებით, ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის შემოტანით და ა.შ. ამ საკითხებში ბატონი სიკო ალბათ უფრო კომპეტენტურია.

მინდა ერთი რამ ვთქვა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. ძალიან გამაკვირვა იმან, რომ აღმოჩნდა მხოლოდ მოსწავლეთა 55% ფლობს სახელმძღვანელოების სრულ პაკეტს. შემდეგ როდესაც ბატონმა სიკომ განმარტა, რომ ეს საშუალო მაჩვენებელია, და რომ ეს ციფრი რეგიონებში ბევრად უფრო დაბალია. გამოცდების შემოღება ურბანულ და სოფლის მოსახლეობას შორის ნაპრაღს არ უნდა ზრდიდეს, ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ისეთი პროგრამები, როგორც არის მაგალითად „ირმის ნახტომი“. სკოლის ბიბლიოთეკებში უნდა იყოს იმის საშუალება, რომ ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსია. იმის გამო, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ სახელმძღვანელოების სრული პაკეტის შექენა, არ ნიშნავს იმას, რომ გამოცდები ყველა საგანში არ უნდა ჩატარდეს. იმაში, ჩატარდება ეს გამოცდები თუ არა, მე პრობლემას ვერ ვხედავ, იმიტომ რომ წლებადელი მოცემები სრულიად ფასტასტიური იყო. 27 ათას ადგილზე შემოტანილი იყო 29 ათასი განცხადება, და თავისუფალი დარჩა 4000 ადგილი, და ეს მაშინ, როდესაც მინიმალური კომპეტენციის მისაღებად საჭირო იყო მხოლოდ 25 სწორი პასუხი. საუბარი იმაზეა, ვინ მოდის უმაღლეს სასწავლებელში და რითი ვამთავრებთ საშუალო სკოლას.

რაც შეეხება სახელმძღვანელოს, ვინ გააკონტროლებს მათ, გამომცემლობების კორპორაციული მაფია თუ სახელმწიფო მაფია, ამით მომხმარებლისთვის ბევრი არაფერი იცვლება. ერთადერთი სერიოზული პრობლემა სახელმძღვანელოს გამოცემის ხარისხია, რომელიც ხშირ შემთხვევაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისინი არ ითვალისწინებს ბავშვის გონებრივი განვითარების შესაძლებლობებს ასაკობრივ ჭრილში.

**შორენა გაბუნია, ხელოვნებათმცოდნე** – რუსული ენის სავალდებულო სტატუსის შესახებ მინდა გკითხოთ. როგორც ვიცი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსულმა ენამ დაკარგა დომინანტური ენის ფუნქცია ჩვენს ქვეყანაში. კატეგორიულად ვემიჯნები ანტირუსულ ისტერიას, რომელიც ძალიან პოპულარულია დღეს ქვეყანაში, მაგრამ მაინტერესებს, რატომ უნდა იყოს რუსული ენა სავალდებულო სკოლაში.

**სიკო ჯანაშია** – ენების შერჩევა სკოლებში სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით ხდება. სავალდებულოა ორი ენის სწავლა.

**სანდრო ლომინაშვილი** – განათლების სამინისტროდან არის ინფორმაცია, რომ საქართველოში აპრილში ათასამდე ადამიანი ჩამოდის იმისათვის, რომ სკოლებში ინგლისური ენა ასწავლოს. რა იცით ამის შესახებ?

**მარინე ჩიტაშვილი** – ეს ხდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მიერ ერთობლივად ხელმოწერილი სტრატეგიული შეთანხმების დოკუმენტის ფარგლებში. ამას განახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, რომელმაც პრიორიტეტად კულტურული და განათლების

სფეროს დახმარების თვალსაზრისით აიღო ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების შემოტანა საქართველოში. მე ვესწრებოდი ამ პროგრამის პრეზენტაციას და აქედან მაქვს ეს ინფორმაცია.

**დავით კახაბერი, ჟურნალი „ტაბულა“** – 2010 წლის გამოწვევებში მინისტრმა დიდი ყურადღება დაუთმო უსაფრთხო სკოლის კონცეფციას. აქ იყო ნახსენები, რომ პერმანენტულად იქნება შეხვედრები ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან. ამისი მაგალითი გვაქვს ამერიკაში 1960 წლიდან. მაინტერესებს, თქვნი, როგორც ფსიქოლოგის მოსაზრება, რა პრობლემების წინაშე შეიძლება დაგვაყენოს ამ ინიციატივამ.

ასევე მაინტერესებს, თუ აქვს ინფორმაცია ბატონ სიკოს მანდატურის ინსტიტუტის შესახებ.

**სიმონ ჯანაშია** – მანდატურის ინსტიტუტი არსებობს ამერიკაშიც. ჩვენს სისტემის პრობლემა ის არის, რომ მასწავლებლების შემთხვევაში, ყველას ეძლევა ვაუჩერი, თანაბარი მიდგომაა ყველას მიმართ. ისევე როგორც პროგრამები, რომლებსაც განათლების სამინისტრო ახორციელებს, არ არის მიმართული კონკრეტული სკოლებითვის. მაგალითად, ვიცით, რომ ძალადობა არ წარმოადგენს პრობლემას სოფლის სკოლებისთვის და იქ მანდატური არ არის საჭირო. ამერიკის სკოლებში მანდატური არეგულირებს მოძრაობას სკოლებში, დადის რაციით, აკონტროლებს, რომ არ მოხდეს კონფლიქტი მოსწავლეებს შორის. ჩვენთან საუბარია არა მარტო მანდატურებზე, არამედ კამერებისა და შეშვების სისტემის დაყენებაზეც. ეს მეთოდები სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში სხვადასხვანაირად მოქმედებს. კამერა ზოგისთვის შესაძლოა ტოტალიტარიზმის გამოვლინება იყოს, ზოგიერთი ბავშვისთვის შესაძლოა ის იყოს ჩაგვრისგან ხსნა. იმ ადგილებში, სადაც დამონტაჟდა ასეთი კამერები, დადასტურებულია, რომ იკლო ძალადობის ფაქტებმა. თუ ეს მიზანი მიიღწევა, თუნდაც ძალიან ტოტალიტარულად გამოიყურებოდეს ეს სისტემა, ის შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. თუმცა ეს არ განაწყობს ადამიანს იმისთვის, რომ დანაშაული არ იყოს მისი მოტივაცია, რომ არ უნდოდეს დანაშაულის ჩადენა. უსაფრთხო სკოლაზე საუბრისას, რა თქმა უნდა, მთავარია იმის სწავლება, თუ როგორ უნდა მოაგვარო ურთიერთობები, როგორ უნდა აარიდო თავი კონფლიქტს და ა.შ. ძალიან მარტივ რადაცებს ასწავლიან ამ თვალსაზრისით დასავლეთში. მაგალითად, ურჩევენ, თვალეში არ შეხედონ ადამიანს, რომელიც მათი აზრით, აგრესიულია. ანუ, არის ერთი და იგივე რამის განხორციელების როგორც კარგი, ისე ცუდი გზა და თუ გამოვიყენებთ უკვე აპრობირებულ მეთოდებს, კარგ შედეგსაც მივიღებთ. სკოლაში შემშვები სისტემა თბილისის რამდენიმე სკოლაში უკვე დამონტაჟდა და მშობელს ბავშვის შესვლისა და გამოსვლის შესახებ „ესემესი“ მისდის. შეიძლება მშობლისთვის არ იყოს სასიამოვნო ყოველ ხუთ წუთში ერთხელ ასეთი მესიჯის მიღება, შესაძლოა, ძალიან ძვირიც იყოს ეს სისტემა, ასევე, შესაძლოა, ფსიქოლოგიურადაც არ იყოს გამართლებული და ბავშვებს აჩვენებს მორჩილებას და არა გააზრებას, თუ რატომ არ უნდა გაიპაროს სკოლიდან, მაგრამ მეორე მხრივ, შედეგებს იძლევა.

– ჩვენი ასოციაცია მთელი საქართველოს მასშტაბით აერთიანებს პედაგოგებს. ჩვენ ვმუშაობთ იმ პრობლემებზე, რომლებიც არსებობს განათლების სფეროში და მივესალმებით იმ რეფორმებს, რასაც საქართველოს მთავრობა გვთავაზობს. ჩვენს ძირითად მიმართულებად ავიღეთ ზნეობის და ეთიკის სწავლება სკოლებში. ხომ არ აჯობებს, პირველივე კლასიდანვე დავენერგოთ ამ საგნის სწავლება. შესაძლოა, კულტუროლოგიაში სწორედ ესეც იგულისხმება. ზნეობრივი აღზრდა თავიდან აგვარიდებს ძალადობასაც და კონფლიქტებსაც. თუ დაინტერესდებით, ბატონო სიკო, ჩვენ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ კიდევ. 2000 წელს ჩვენმა ორგანიზაციამ გამოსცა „ყოფაქცევის კულტურა“. ეს საგანი უკვე დაინერგა რამდენიმე სკოლაში, თვით ბატონ გია მურდულიას სკოლაშიც. ძალიან მაინტერესებს საზოგადოების აზრი ჩვენს სახელმძღვანელოზე.

### **გიორგი გვანარია – ვინ არის წიგნის ავტორი?**

– ავტორი გახლავთ პრაქტიკოსი პედაგოგი, ქალბატონი ლია ბედინაძე. წიგნზე მუშაობს ასევე ავტორთა ჯგუფი. ბევრ სკოლაში არის სურვილი, რომ დაინერგოს ეთიკის სწავლება.

რაც შეეხება სახელმძღვანელოების საკითხს. პედაგოგები ხშირად ამბობენ, რომ კარგია, რომ მათ აქვთ სახელმძღვანელოების არჩევის საშუალება, მაგრამ ცუდია, რომ ისინი თავიდანვე კარგად არ იცნობენ ამ სახელმძღვანელოებს.

**სინომ ჯანაშია –** პედაგოგები იმასაც ამბობენ, რომ მათ ნაცვლად ირჩევენ სახელმძღვანელოებს და ისინი შემდეგ ხუთი წელი ასწავლიან ამ წიგნებით. როგორ თავსდება ერთად ეს ორი პოზიცია, რომ ისინი ვერ არჩევენ და სხვამ უნდა აირჩიოს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ აღმოჩნდება, რომ არ მოსწონს წიგნი და შეცვლას ითხოვს, ვერ ვხვდები. რა კეთდებოდა იმისთვის, რომ მათ ჰქონოდათ უფრო გააზრებული არჩევანი. თავდაპირველად, როდესაც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ერთად გამოჩნდა ახალი სახელმძღვანელოები, იყო სერიოზული პრობლემები, გვიან სრულდებოდა სახელმძღვანელოს შემუშავება და მოკლე პერიოდი რჩებოდა მის შესარჩევად. შარშანდლიდან უკვე არა მარტო სახელმძღვანელოს ნიმუში ჰქონდათ მასწავლებლებს იმისთვის, რომ გაცნობიერებული არჩევანი გაეკეთებინათ, ასევე იყო რეცენზიები. მათ შეეძლოთ გაცნობოდნენ სხვადასხვა ექსპერტის მოსაზრებებს. წიგნების ეგზემპლარების დაბეჭდვამდე მასწავლებლებს ასევე დაეგზავნათ როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის სამუშაო წიგნის ელექტრონული ნიმუშები.

– მაგრამ ამ ნიმუშებს არ გაცნობია ყველა მასწავლებელი. უფრო მეტიც, არიან მასწავლებლები, რომლებიც არ მიიჩნევენ აუცილებლობად სერტიფიცირებას. ისინი არც არიან დარწმუნებულები მის ჩატარებაში.

### **სიმონ ჯანაშია –** ეს ინფორმაციის ნაკლებობითაც არის გამოწვეული.

რაც შეეხება ეთიკის სწავლებას, ჩემი აზრით, იმას, რომ რიგში უნდა ჩადგეს ცალკე საგნის სწავლება არ სჭირდება. ეს ელემენტარული თემებია. ასეთი რაღაცები ისწავლება, ოღონდ ამას არ აქვს სისტემატიური ხასიათი.

აღბათ მნიშვნელოვანია, რომ გაკეთდეს სასწავლო გეგმა ასეთი კომპეტენციებისთვის, თუ რას ნიშნავს იყო მოქალაქე და ა.შ. ამას უწოდებენ „გამჭობლ პრიორიტეტებს“ და გულისხმობს ჰიგიენას, საგზაო უსაფრთხოებას, პუნქტუალურობას და ა.შ. ძალიან ბევრი ასეთი პრობლემა აქვს საზოგადოებას და ამის გამოსწორებას სკოლისგან ელის, მაგრამ არ იქნებოდა სწორი, რომ მათ მოსაგვარებლად ცალ-ცალკე საგნები შემოგველო.

**ალექსანდრე კაკაბაძე, სტუდენტი** – გასაგებია, რომ შეიქმნება სისტემა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, რომ გვეყავდეს განათლებული მასწავლებელი, რომელიც სკოლისთვის საჭირო იქნება, მაგრამ ასეთი ხელფასის პირობებში რამდენად ექნება ადამიანს სურვილი გახდეს მასწავლებელი. რატომ არ სვამს ამ საკითხს განათლების სამინისტრო, თუ მაინცდამაინც საპატრიარქომ უნდა მოითხოვოს.

**სიმონ ჯანაშია** – ეს ქვეყნის ბიუჯეტით არის განპირობებული. არც საპატრიარქოს სურვილი შეცვლის რამეს. წარმოიდგინეთ, ყოველწლიურად 300 მილიონი ხმარდება მასწავლებლების ხელფასებს. შეიძლება ისე გადანაწილდეს სამინისტროს ბიუჯეტი, რომ ხელფასებისთვის ცოტა უფრო მეტი თანხა გამოიყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძალიან მაღალი იქნება მასწავლებლად გახდომის მოტივაცია. რაც შეეხება იმას, რამდენი მასწავლებელი უნდა იყოს მოტივირებული ცვლილების მისაღწევად, არის ძალიან საინტერესო პრინციპი. იმისთვის, რომ სისტემაში გაუმჯობესებას მიაღწიო, არ არის საჭირო 100%-იანი ცვლილება. 20% ხშირად განაპირობებს 80%-ის შედეგებს. მაგალითად, თუ გსურს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესო სწავლების შედეგები, მასწავლებლების 20%-ში თუ გააუმჯობესებ რაღაც ქცევას, მაშინ დანარჩენი 80% დაიწყებს იგივე რაღაცის კეთებას. თუ 20%-ს გაეზღება ხელფასი, მაშინ გაჩნდება მოტივაცია, რომ დანარჩენი 80% ჩაანაცვლოს უფრო უკეთესმა მასწავლებელმა. რასაკვირველია, მოტივაციის გასაზრდელად არ არის აუცილებელი 350-ს ამდენივე თანხა დაამატო.

**თამარ უზნელიშვილი, კერძო სკოლის, „სინათლე“, დირექტორი** – სერტიფიცირება, ჩემი აზრით სავალდებულო უნდა იყოს ყველა მასწავლებლისთვის. შესაბამისად, მათ ასევე უნდა ჰქონდეთ ამ გამოცდებისთვის მომზადების საშუალება. მაგრამ ვინ იქნებიან ტრენერები. თუ თქვენი კატეგორიის ტრენერები იქნებიან, ამას ყველა მიესალმება, ბატონო სიკო, მაგრამ რეგიონებში, ვვარაუდობ, რომ იქნებიან ფასილიტატორების დონეზე.

**სიმონ ჯანაშია** – ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა დაიწყო შემდეგი პრინციპით. ჯერ შეირჩა ასი სკოლა, იმისთვის, რომ იქ გამოცდა ჩატარებულიყო. ასევე ტარდებოდა სახელმძღვანელოებიც გამოცდაც. და ამ სკოლებში მიმდინარეობდა მასწავლებლების ინტენსიური ტრენინგი. შემდეგ უკვე, როცა ტრენინგებს ყველა სკოლა უნდა მოეცვა, გადაწყდა ორი დონის ტრენინგის ჩატარება. ერთ-ერთში ტრენინგებს უფრო მაღალკვალიფიციური ტრენერები ატარებდნენ, მეორე დონეზე ამ საპილოტე სკოლის მასწავლებლები თავად აცნობდნენ საკუთარ გამოცდილებას სხვა მასწავლებლებს. ისინი იყვნენ

ფასილიტატორები. რა თქმა უნდა, შესაძლოა, ამ მასწავლებლების მიერ ინფორმაციის გავრცელების ხარისხი არ იყო მაღალი. ტრენინგების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ შემოდებულ იქნა ვაუჩერები, ოღონდ ამჯერად უკვე სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებლად. ამ შემთხვევაში უკვე ხდება როგორც სატრენინგო პროგრამის, ისე ტრენერების შემოწმება.

რაც შეეხება სავალებულო სერტიფიცირებას. წარმოვიდგინოთ, რამდენ წელიწადში შეიძლება შეიცვალოს მასწავლებლების 70%. წელიწადში რომ იყოს 10%-იანი ცვლა, ამისთვის საჭიროა 7 ათასი ახალი მასწავლებელი. ამდენი ადამიანი სულ არ სწავლობს საქართველოში ამ სპეციალობით და არც ისწავლის, თუ არ იქნება სერიოზული მოტივაცია ამისათვის. ამიტომ მაქსიმუმ უნდა მივაღწიოთ არსებული მასწავლებლებით და ვეცადოთ, რომ განჩინდეს მოტივაცია იმისთვის, რომ საუკეთესოები მიდიოდნენ ამ სისტემაში. ეს არის მოკლევადიანი პერსპექტივა. გრძელვადიანი პერსპექტივით უნდა მოხდეს მასწავლებელთა უმრავლესობის კვალიფიკაციის ამაღლება ან ჩანაცვლება. თუმცა ამის ზეწოლის მექანიზმი ჩვენთან არ არის. მიუხედავად იმისა, რომ კანონში წერია, რომ დირექტორს აქვს უფლება გაათავისუფლოს მასწავლებელი, რომელსაც არ აქვს შესაბამისი ხარისხი, არჩევნების პერიოდში მათ ეუბნებოდნენ, რომ არავინ არ გაეშვათ სკოლიდან, პირიქით, უფრო გრძელვადიანი კონტრაქტი გაეფორმებინათ მასწავლებლებთან. ყოველივე ამაში დიდი წვლილი მიუძღვის პროფკავშირებს. გამოვიდა ერთი რამ, დეცენტრალიზაცია ვერ განხორციელდა. დირექტორს კი მივეცი ხარისხზე ზრუნვის უფლება და პასუხისმგებლობა, მაგრამ თან უთხრეს, რომ თავი გაენებებინა ამ ზრუნვისთვის, თუ ეს მასწავლებლების გაშვებას და მათ ჩანაცვლებას გამოიწვევდა.

**თამარ უზნელიშვილი, კერძო სკოლის, „სინათლე“, დირექტორი** – თქვენ ასევე თქვით, რომ არის 27 ათასი კურსდამთავრებული, და არის ამდენივე ადგილი უმაღლეს სასწავლებლებში. ჩემი აზრით, აქედან მოდის ყველა პრობლემა. რატომ აძლევენ უნივერსიტეტებს სტუდენტების ამხელა რაოდენობის მიღების უფლებას?

**მარინე ჩიტაშვილი** – თქვენს მიერ დაყენებულ საკითხს ორი განზომილება აქვს. პირველი ის გახლავთ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უფრო 70-იანი წლებიდან, გადავდივართ მასობრივ უმაღლეს განათლებაზე. ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ ინდიკატორად ითვლება, თუ რამდენი ადამიანისთვის არის ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლების მიღება. შესაბამისად ის, რომ ეს მართლაც ბევრისთვის იყოს ხელმისაწვდომი, შესაძლოა, პოლიტიკური მიზნის გამოვლინებაც იყოს. რეალურად ეს ხორციელდება სრულიად სხვა მიზნით სხვა ინსტიტუტის მიერ. არსებობს ინსტიტუციონალური აკრედიტაციის გაწერილი გეგმა, რომელიც გულისხმობს, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია სასწავლებელს ფართის და სხვადასხვა ტექნიკური საშუალების კვალობაზე. ეს უმაღლესი სასწავლებლები აკმაყოფილებენ ამ პირობებს და ამიტომ აკრედიტაციის სამსახურს არა აქვს მათი შეზღუდვის უფლება. თუმცა, ეს არ არის ინსტიტუციონალური აკრედიტაცია, ეს არის ლიცენზიის გაცემა. მეორე საკითხი, უმაღლესი სასწავლებელი რა პროგრამას ასწავლის სტუდენტს, ეს

აბსოლუტურად გაუგებარია. მაგალითად ფინეთში, უმაღლესი განათლება არის 60%. ჩვენთან გამოდის დაახლოებით 27%. მაშინ როცა 1991 წელს, როდესაც 9 ათასი სტუდენტი უნდა მიეღოთ, და ეს რიცხვი შეადგენდა კურსდამთავრებულების 13-15%-ს. მე, როგორც უმაღლესი განათლების წარმომადგენელი, პრობლემას იმაში ვხედავ, რომ არ არსებობს განსაზღვრული მექანიზმი იმისათვის, რომ ვთქვათ, ვაძლევთ ამ ადამიანებს უმაღლეს განათლებას თუ არა.

სკოლებში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით ძალოვან სტრუქტურებთან თანამშრომლობის საკითხს მინდა დაეუბრუნდე. ეს ამერიკაში შემოიღეს ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის შემდეგ, როდესაც აღმოჩნდა, რომ თურმე მოდელის აღება ხდება დასწავლის გზით და აგრესიულობა არ გახლავთ ინდივიდუალური ფენომენი. მოგეხეებათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში სკოლებს თემი აფინანსებს. აქედან გამომდინარე, ისეთ სკოლებში, რომლებიც არ არის კარგად დაფინანსებული და არა აქვთ საშუალება ჰყავდეთ კარგი მასწავლებლები, ჰქონდეთ ნორმალური პროგრამა, ძალადობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ისეთი ფენის ბავშვებში, რომლებიც სოციალურად უფრო უზრუნველყოფილები არიან. რადგან ჩაითვადა, რომ ეს არის სოციალური დასწავლის ფენომენი, გადაწყდა სახელმწიფოს ჩარევა, რათა სოციალური დასწავლის ფენომენი შეცვლილიყო პოზიტიური მოდელით.

60-იან წლებში, იგივე ბანდურას კვლევების მიხედვით სკანდინავიის ქვეყნებში შემოიღეს ახალი ტიპის მიდგომა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ადამიანს არ რჩება დრო სხვა საქმიანობის განსახორციელებლად, თუკი ის დროის გარკვეულ მონაკვეთში მუდმივად არის დაკავებული ერთი ტიპის საქმიანობით. სკოლის შემთხვევაში, მისი ძირითადი საქმე უნდა იყოს სწავლება, და ეს არ ეხება მხოლოდ კონკრეტული საგნების სწავლებას. შევედეთ ბიჭიც და გოგოც, თანაბრად სწავლობს ქსოვას და სკამის გამოჩარხვას. სკანდინავიის ქვეყნებში აიღეს პრინციპი, რომლის მიხედვითაც საქმიანობით სრულად უნდა იყოს დაკავებული ის დრო, რასაც ატარებენ სკოლაში, დაახლოებით დილის 9 საათიდან 3-4 საათამდე. ასეთ დროს სწავლება პარალელურად იქნეს სხვა დატვირთვას.

იღეაში, მე არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს ძალისმიერი სტრუქტურების მიმართ, იმიტომ რომ თუ გვინდა სახელმწიფო გვექონდეს, ასეთი სტრუქტურები აუცილებელია, მაგრამ არ მესმის, რა უნდათ მათ სკოლაში. ეს არის პრობლემა. სკოლაში უნდა იყოს მასწავლებელი, რომელიც თვითონ მოაგვარებს პრობლემებს.

**ლიკა დლონტი, „ტემპუსის“ ეროვნული ოფისი, უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე** – მე თავად გახლდით ინიციატორი, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ადგილები გაზრდილიყო. იმიტომ რომ დღეს სამწუხაროდ არ გვაქვს ლეგალური ინსტრუმენტები იმისათვის, რომ კარგად შევამოწმოთ სწავლების ხარისხი. დღეს საქართველოში არის 69 სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მათგან ოცდაათში სტუდენტთა კონტიგენტი არის 500-ზე ნაკლები. ერთ-ერთ ასეთ სასწავლებელში 156 სტუდენტი ჰყავთ. ამიტომ, წელს ვინც კი შემოიტანა განაცხადი აკრედიტაციის საბჭოში ადგილების რაოდენობის გაზრდაზე, ყველას

დავუკმაყოფილეთ ეს თხოვნა და წელს გვაქვს რეკორდული მაჩვენებელი. წელს მისაღებ გამოცდებზე გამოცხადდება 40522 ადგილი. ეს ერთის მხრივ ნიშნავს იმას, რომ ყველა მოსწავლე, რომელიც კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს გადალახავს, ჩაირიცხება უმაღლესში, მაგრამ ეს ნიშნავს იმასაც, რომ უმაღლეს სასწავლებლებში უამრავი ვაკანსია დარჩებათ. იმიტომ რომ ვიცით, რომ ამ კომპეტენციის გადალახვა საკმაოდ რთულია. უნივერსიტეტებს არ აღმოაჩნდათ იმდენი გონება-გამჭრიახოება, ან ბიზნესწარმოდგენა საიმისოდ, რომ როდესაც ბოლო ორი წლის განმავლობაში რჩებოდათ ვაკანსიები, წელს ისევ არ შემოეტანათ კონტიგენტის გაზრდაზე განაცხადი. ამიტომ ჩვენც რეალურად ვუწყობთ ხელს მათ ამაში, რადგან გვაქვს რეალური პროგნოზი იმისა, რომ ისინი გაკოტრების საშიშროების წინაშე დადგებიან. იმიტომ რომ ცნობილია, რომ უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების 70% და მეტი განპირობებულია იმ თანხით, რომელიც შემოაქვთ სტუდენტებს.

თუ სახელმწიფო დაწესებულებებში დანარჩენი 30% შეიძლება კვლევებით მოპოვებული გრანტები იყოს, კერძო უმაღლესი სასწავლებლების ბიუჯეტი 100%-ით ემყარება სტუდენტების მიერ შემოტანილ თანხას. ანუ, იმ სასწავლებლების გზა, რომლებმაც ნაცვლად იმისა, რომ ხარისხში ჩაედოთ გარკვეული თანხა, ფართობი გაზარდეს, რომ უფრო მეტი სტუდენტის მიღება შესძლებოდათ, გაკოტრებისკენ არის. ეს, მიმაჩნია, რომ არის ერთ-ერთი არაპირდაპირი გზა იმისთვის, რომ გაიწმინდოს უმაღლესი განათლების სივრცე და კონკურენციაში გადარჩეს ის, ვისაც უფრო მეტი უნარი გააჩნია. ეს იმასაც გამოიწვევს, რომ უმაღლესი სასწავლებლები უფრო მეტად იქნებიან ხარისხზე ორიენტირებული, იმიტომ რომ ახლა იწყება ის ფაზა, როცა უნდა დაიწყოს სერიოზული ბრძოლა სტუდენტისთვის. 40522 ადგილი მისაღებ გამოცდებზე ამისი მშვენიერი ინდიკატორი იქნება.

**დავით არაბიძე, განათლების ეროვნული კავშირი** – სამეურვეო საბჭოებში თვითმართველობაზე ლაპარაკი ზედმეტია. დირექტორთა კორპუსი პოლიტიკური ნიშნით შეირჩა. იმიტომ რომ კონკურსის მნიშვნელობა გადაფარა გასაუბრებამ, რომელზეც არ ყოფილა დადგენილი სტანდარტები. ამიტომ გვაქვს ასეთი ტრაგიკული მდგომარეობა სასკოლო სისტემაში. ჩვენ, საზოგადოებამ, ვერ შევქველეთ რეალურად მიგველო მონაწილეობა სამეურვეო საბჭოების ფორმირებაში და დირექტორთა კორპუსი რობოტის მდგომარეობაში. ის ყველა ზემოდან წამოსულ ბრძანებას გაუაზრებლად შეასრულებს. მაინტერესებს თქვენი აზრი ამ ფორმით შექმნილ დირექტორთა კორპუსზე.

**სიმონ ჯანაშია** – სამეურვეო საბჭოს არჩევნები ჩაატარა სკოლამ. კომისიის თავმჯდომარე იყო სამინისტრო. ანუ, ზემდგომი ორგანო განიხილავდა საჩივრებს. სკოლა ატარებდა არჩევნებს წინასწარი შერჩევის საფუძველზე. რაც შეეხება ამ სისტემის პოლიტიზირებას. ის ცნობილი ლოტოტრონი სწორედ იმიტომ იყო შემოღებული, რომ დირექტორთა შერჩევა ნაკლებად ყოფილიყო პოლიტიზირებული. ამიტომ გაბრაზდა ყველა და მათ შორის, მმართველი პარტია. ისეთი სისტემა იყო, რომ თუ ადამიანი აჩვენებდა საუკეთესო ქულებს, თვითონ ირჩევდა სკოლას, თუ არა და, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით



ნაწილდებოდა იმ სკოლების ერთობაში, სადაც თვითონ იყო თანახმა, რომ განაწილებულიყო.

კიდევ ერთი დეტალი, რომელიც მანამდე არსად გვითქვამს. ჩვენ მაშინ გამოგვიგზავნეს სიები, სადაც ეწერა, რომ ეს ადამიანები არ უნდა გასულიყვნენ. ეს ძირითადად იყო ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ შედგენილი სია, სადაც ეწერა, რომ ეს ადამიანები პოლიტიკურად არამიზანშეწონილები იყვნენ და ჩვენ ეს უნდა გაგვეთვალისწინებინა. ჩვენ რა თქმა უნდა, ეს ვერ გავითვალისწინეთ და ამანაც დიდი გაღიზიანება გამოიწვია. სწორედ ამიტომ დაიწყო დისციპლინირება. დღევანდელი ცვლილებებიც არის იმის მაგალითი, თუ როგორ ხდება განათლების სისტემის დისციპლინირება.

**მარინე ჩიტაშვილი** – როდესაც ლოტოტრონი ჩატარდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სტენფორდის უნივერსიტეტში გახლდით და იქაურ კოლეგებს ვუამბე კიდევ ლოტოტრონის შესახებ. ჩემთვის ყველაზე მძიმე მთელ ამ სიტუაციაში იყო ის შეცდომები, რომლებსაც უშვებდა ის ხალხი, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა სკოლის დირექტორობაზე. მთავრი პრობლემა ისევ მიდის პროფესიონალიზმამდე. პოლიტიკა ან წესრიგი გარკვეულ პროფესიაში არის მეორე საქმე, ჯერ საკუთარ თქვზე უნდა შეგვეძლოს გამართულად თქმა, რომ ვართ პროფესიონალები. გმადლობთ ყურადღებისათვის.